

899.962.1(03)
3-582

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაშერის უფლებით

გესალია ავთანდილი

ვახტანგ კოტეტიშვილი - XIX საუკუნის
ქართული ლიტერატურის მკვლევარი

ტირაჟი 100

10.01.01. ქართული ლიტერატურა

ფილოლოგის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო
ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის



გამოცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 380028, ა. ჭავჭავაძის გამზ. 1

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი
2001

ნაშრომი შესრულებულია ივანე ჭავახიშვილის
სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის
კათედრაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი - ფილოლოგის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი
თენიზ კიკაჩევიშვილი,

ოფიციალური
ოპონენტები:

1. თამაზ ჭოლოვა - ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
2. დავით კოტერაშვილი - ფილოლოგის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი

დისერტაციის დაცვა შედგება 2001 წლის **"21"** საზოგადო
საათზე

ივანე ჭავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგის დარგის (P. 10.01. C№5) სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე. მისამართი: 380028, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი №1.

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია თუ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში. მისამართი: 380047, თბილისი, უნივერსიტეტის ქ. №2.

ავტორეფერატი დაიგზავნა 2001 წლის **"13"** ვაკებზე

სადისერტაციო საბჭოს სწავლული
მდივანი, ფილოლოგის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

6-8-5 /ნ. ტაბიძე/

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალობა. ვახტანგ კოტეტიშვილის დიდი წვლილი მიუძღვი ქართული კულტურის, კერძოდ, ქართული ლიტერატურის შესწავლისა და განვითარების საქმეში. ამ მხრივ, ცხადია, განსაკუთრებით აუყრადღებო მისი "ქართული ლიტერატურის ისტორია", რომელიც 1925-1927 წლებში გამოქვეყნდა და იმ დროისათვის (და შემდეგაც, კარგა ხნის მანძილზე ყველაზე სრულად და საფუძვლიანად წარმოუდგენდა მკითხველს XXI საუკუნის ქართულ მწერლობას, მაგრამ საბჭოული იდეოლოგიურ შაბლონი არ იძლეოდა საშუალებას, ჭერივანი ყურადღება დათმობოდ XIX საუკუნის საქართველოს საზოგადოებრივ-ლიტერატურულ პროცესთ ვახტანგ კოტეტიშვილისეულ ინტერპრეტაციას.

დღეისათვის, XXI საუკუნის დამდეგს, ილბათ, უკვე დროა, საგანგებოდ წარმოგანინოთ გასული საუკუნის ის მკვლევრები, რომელთა მიერ გაკვალული გზის მართებულობა დაადასტურა თანამედროვ ლიტერატურათმცოდნებისა და რომელთა ღვაწლი საბჭოთა პერიოდში ერთგვარიად ჩრდილში მოქმედა.

კვლევის მიზანი და მთვარები. სადისერტაციო ნაშრომში მიზნაς დავისახეთ, სრულად და მკაფიოდ წარმოგვეჩინა ვახტანგ კოტეტიშვილის როგორც XIX საუკუნის ქართული მწერლობის მკვლევრის ლიტერატურული ხედვა; შევეცადეთ, გვეჩვენებინა, თუ რა კუთხით როგორ კავშირში განიხილავს "ქართული ლიტერატურის ისტორიის ავტორი" XIX საუკუნის საქართველოს საზოგადოებრივ და ლიტერატურულ პროცესებს, იმდროინდელ ქართველ მწერალთა შესახე მისი თვალსაზრისი, კონკრეტულად, რით გამოიჩინება წინამორბედთ შეხედულებათაგან, რამდენად გამძლე აღმოჩნდა მისეული მეთოდოლოგია მის მიერ წარმოდგენილ სიახლეთაგან რა დამკვიდრდა და რა არა ჩვენ დროის ქართულ ლიტერატურათმცოდნებიაში.

კვლევის ხადანი. კვლევის უბირველესი საგანი, ბუნებრივია, ვახტანგ კოტეტიშვილის ის ნაშრომებია, რომელიც XIX საუკუნის ქართულ მწერლობას ეძღვნება (თუმცა, რასაკვირველია, უყურადღებოდ არ დაგვიტოვებია მისი სხვა ნაწერებიც).

წარმოდგენილ დისერტაციაში ვახტანგ კოტეტიშვილის "ქართულ ლიტერატურის ისტორია" განხილულია XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურის ცნობილ მკვლევართა თხზულებებთა ურთიერთმიმართებაში, შესაბამისად, კვლევის ობიექტთა შორის მოექც